# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

83

**დამატების № 69** — **კვირა, 24 ნოემბერი 1902 წ.** — **გაზეთის № 1993.**

* * *

(ჰეინედან)

ტურფავ! მე და შენ გადახვეულნი
ვისხედით ნავში, მიმოვიდოდით;
ზღვას ადგა შუქი ბუნდის მთვარისა,
სად მივცურავდით—თვით არ ვიცოდით.

მოშორებითა ჩვენზედ მოჩანდა
გრძნეულებითა სავსე კუნძული,
იქ ყველა მღერდა, ყველა იღხენდა,
იქ ყველა იყო გახარებული.

იგი გვხიბლავდა და გვიზიდავდა,
მის სილამაზეს თვალით ვხედავდით;
ჩვენ კი მის ახლოს უნუგეშოდა
ბინდით მოცულსა ზღვაზედ ვცურავდით.

ი. ბაქრაძე



### ანდრო თამეიერის უკანასკნელი წერილი

არტურ შნიცლერისა

(გერმანულიდან)

უნდა მოვკვდე! სანამ ცოცხალი ვარ, ბოლო არ ექნება დაცინვას და სიმართლეს არავინ დაინახავს. მართალი კი ის არის, რომ ცოლს ჩემთვის არ უღალატნია—ვფიცავ ყველაფერს, რაც კი წმინდა არის ჩემთვის, და ვამტკიცებ ამას ჩემის სიკვდილით. მე წამიკითხავს ბევრი წიგნი, სადაც ამ ძნელსა და საიდუმლოებით აღსავსე საგანზეა ლაპარაკი და თუ ისეთი პირები არიან, რომელთაც არა სწამთ ეს მოვლენა, არიან დიდი მეცნიერები, რომელნიც ამტკიცებენ ამ ფაქტს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, რომელიც ყოველ მიუდგომელ კაცს დაარწმუნებს. მალბრანში მოგვითხრობს შემდეგ ამბავს: ერთ ორსულ ქალს პიუსის წმიდათა შორის ჩარიცხვის დღეს იმდენი ეცქირა პაპის სურათისათვის, რომ ბავშვი, რომელიც მალე დაიბადა, სახით ნამდვილი პიუსი იყო, დიახ პიუსი—სახე დაღლილ მოხუცისა ჰქონდა, ხელები გულზე ჯვარედინად დაწყობილი, თვალები ზეცად აღპყრობილი და, რაც უფრო საოცარია, მხარზე ნიშანი პიუსის ქუდის ფორმისა იყო. ვინც ფილოსოფოს დეკარტის მოწაფის, მალბრანშის, სიტყვას არ დაიჯერებს, იქნება მარტინ ლიუტერის სიტყვა ირწმუნოს: ლიუტერი იცნობდა ერთ კაცს, რომელსაც მკვდრის თავი ჰქონდა—როცა ამ საბრალო კაცის დედა მაზედ ორსულად ყოფილა, მკვდარი დაენახა და საშინლად შეშინებოდა. მე ვიცი კიდევ უფრო შესანიშნავი ფაქტი, რომელზედაც ეჭვს ვერ შეიტანს ვერც ერთი გონიერი კაცი. ამბავი მოთხრობილია ჰელიოდორის „Libri aethiopicorum"-ში. ამ სარწმუნო ავტორის სიტყვით, დედოფალმა პერსინამ ათის წლის უშვილობის შემდეგ შესძინა ეთიოპიის მეფე ჰიდასპესს თეთრი ქალი, რომელიც ქმრის შიშით სხვას მიუგდო. მიგდებულ ბავშვის ქამარზე დაწერილი იყო მიზეზი ასეთ საშინელ გარემოებისა: ეთიოპიის მეფის ბაღში საბერძნეთის ღმერთების მარმარილოს ანდრიანტები თურმე იდგა და სწორედ ამ ბაღში მიალერსებოდა მეფე დედოფალს, რომელსაც თავისი აღტაცებული თვალები ანდრიანტებისათვის მიუპყრია.

ეს კიდევ არაფერი, საფრანგეთში 1637 წელს შემდეგი ამბავი მომხდარა: ოთხი წელიწადი ქმარი შინ არ იყო და ცოლს კი შვილი ეყოლა; ქალი ჰფიცავდა, რომ შესაფერ დროს სიზმარში ქმარი მასთან იწვა. მონპელიეს ექიმებმა და ბებია ქალებმა დაამტკიცეს, რომ ასეთი მოვლენა შესაძლებელია და ჰავრის სასამართლომ ბავშვი კანონიერ შვილად იცნო.

შემდეგი ამბავი ამოვიკითხე ჰამბერგის „ბუნების საოცარი მოვლენან"-ში (გვერდი 74): ერთ ქალს უშობნია ლომის თავიანი ბავშვი, რადგან ორსულობის დროს ცირკში ყოფილა და ლომები ენახა. ლიმბოკის წიგნში (გვერდი 19) სწერია, რომ ერთი ბავშვი დამწვარის ლოყით დაიბადაო; თურმე დედას ორსულობის დროს დაენახა, როგორ იწვოდა მეზობლის სახლი. ამ წიგნში ბევრი სხვაც არის საკვირველი მოთხრობილი. ეხლაც წინ მიდევს იგი და ვფურცლავ: სარწმუნო, მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტებია შიგ მოთხრობილი; არის ისეთი ფაქტიც, რომელიც განვიცადე მე ან უკედ რომ ვსთქვათ, ჩემმა კეთილმა ცოლმა, რომლის ერთგულება ისევე მართალია, როგორც ის, რომ მე ეხლა ვცოცხლობ. მაპატიებ თავის მოკვლას, საყვარელო მეუღლე? უნდა მაპატიო. ამას ხომ შენის სიყვარულით ჩავდივარ! არ შემიძლია ავიტანო, რომ ხალხი დაგვცინოდეს. თავს დაანებებენ დაცინვას და გაიგებენ საქმეს, როგორც მე გავიგე და მესმის. და თქვენ, ვინც ამ წერილს წაიკითხავთ, იცოდეთ, რომ ამ წერილის წერის დროს ჩემ ცოლს მეორე ოთახში სძინავს მშვიდობიანად, როგორც შეუძლია ძილი მხოლოდ ისეთ კაცს, რომელსაც სინი-

დისი არ აწუხებს; და მისი ბავშვი, ჩვენი ბავშვი, აკვანში წევს და ტკბილად სძინავს. სანამ სახლიდან გავიდოდე, შევალ მათთან და ორივეს შუბლზე ვაკოცებ, მაგრამ ისე კი, რომ არ გავაღვიძო. ამას ყველაფერს იმიტომ ვსწერ, რომ გიჟი არავის ვეგონო... არა, ყველაფერი წინადვე მოფიქრებული მაქვს და დამშვიდებული ვარ.

როგორც კი წერილს გავათავებ, დავტოვებ სახლს და გავსწევ დორნბახისაკენ და კიდევ უფრო შორს ტყისაკენ იმ გზით, რომელზედაც ხშირად გვისეირნია მე და ჩემ ცოლს დაქორწინების პირველ წელს. დიახ, ყველაფერი წინადვე მოფიქრებული მაქვს და სრულს გონებაზე ვარ.

მე ანდრო თამეიერი ვარ და ავსტრიის ერთ შემნახველ-გამსესხებელ კასაში ვმსახურებ; ოცდა თოთხმეტის წლისა ვარ; ვცხოვრობ ჰერნალის ქუჩაზე № 64; ოთხი წელიწადია, რაც ცოლი მყავს. ჯვარის დაწერამდე შვიდი წელიწადი ვიცნობდი ჩემ ცოლს. ორ ვაჟს უარი უთხრა ცოლად გაყოლაზე, რადგან მე ვუყვარდი და მიცდიდა; ერთი კომისარი იყო და 1800 გულდენი ჯამაგირი ჰქონდა; მეორე ახალგაზდა ლამაზი ექიმი იყო ტრიესტიდან და ჩემი ცოლის მშობლების სახლში ცხოვრებდა. დაიხსომეთ, რომ ჩემი გულისათვის უთხრა იმათ უარი, თუმცა მე არც მდიდარ და არც ლამაზი ვარ და ჩვენი ჯვარის წერაც გვიანდებოდა. და ამის შემდეგ კიდევ ამტკიცებენ, რომ ამ ქალმა მე მომატყუილა, ქალმა, რომელიც შვიდი წელიწადი მიცდიდა! ადამიანები სულელები და საწყლები არიან; მათ არ შეუძლიანთ ჩვენ გულში ჩაიხედონ ენამწარენი და ავგულნი არიან! ეხლა კი ყველა გაჰუმდება და ყველანი ატყვიან: უსამართლოდ მოვიქეცით; ეხლა ვხედავთ, რომ ცოლს არ უღალატნია შენთვის და სრულებით საჭირო არ იყო, რომ თავი მოიკალიო. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ეს აუცილებელი იყო, რადგან, სანამ ცოცხალი ვიქნები, დაცინვას ბოლო არ მოეღება. მხოლოდ ერთია პატიოსანი და კეთილი—მოხუცი ექიმი ვალტერ ბრუნერი... მაშინვე მითხრა: „საყვარელო თამეიერ, არ შეგეშინდეთ და ცოლსაც ნუ აღელვებთ. ასეთი შემთხვევა ხშირად ყოფილა. ხვალ ლიმბოკიასა და სხვა წიგნებს გამოგიგზავნით ამ საგნის შესახებ“. ეხლა ეს წიგნები წინ მიწყვია. დიახ, და ვთხოულობ, რომ მადლობით დაუბრუნონ ისინი დიდათ პატივცემულ ექიმს. სხვა არაფერი განკარგულება არ მჭირია. ანდერძი კაი ხანია შედგენილი მაქვს და შესაცვლელი იქ არაფერია, რადგან ჩემი ცოლი ერთგული იყო და მისი შვილი ჩემი შვილია. და თუ ბავშვს შავი პირის კანი აქვს, ეს ადვილი ასახსნელია; მხოლოდ ავი და გაუნათლებელი კაცი არ მიიღებს ამ ახსნას; გაბედულად ვამბობ, რომ ავსა და გაუნათლებელ წრეში არ ვსცხოვრებდეთ, თავის მოკვლა აღარ დამჭირდებოდა, რადგან ყველა დაინახავდა სიმართლეს. მაგრამ ეხლა არავინ არ ხედავს ამ სიმართლეს და იცინიან. ბატონ გუსტავ რენგელჰოფერმაც კი, ჩემი ცოლის ბიძამ, რომელსაც ასე პატივისცემით ვეპყრობოდი, რაღაც შეურაცხყოფით შემომხედა, როცა პირველად დაინახა ჩემი ბავშვი; საკუთარმა დედამ ისეთის თანაგრძნობით ჩამომართვა ხელი, თითქოს რამე უბედურება დამმართოდეს. როცა სამსახურში მიველ გუშინ, ამხანაგებმა ერთმანეთს ყურში უჩურჩულეს. სახლის პატრონმა, რომლის შვილებსაც საშობაოთ ჩემი ძველი საათი ვაჩუქე—სათამაშოდ არა უშავდარა—სწორედ ამ სახლის პატრონმა სიცილი ძლივს შეიკავა, როცა მის ახლო გავიარე. ჩვენი მეზარეული ქალი ისე მხიარულის სახით დადის, თითქოს გადაკრული იყოს და მეზობელი მედუქნე ორჯერ თუ სამჯერ გამოვიდა დუქნიდან და უკან მომჩერებოდა... ეხლა ხან დუქნის კარებთან გაჩერებულიყო და როცა მე დამინახა, იქვე მდგომ ქალს უთხრა—ეს არისო. აი იმის დამტკიცება, თუ სადამდე გავრცელებულა ეს ყოვლად უაზრო ხმა: არის ისეთი ხალხი, რომელსაც სრულებით არ ვიცნობ და იციან კი ყველაფერი; საიდგან—მარტო ღმერთმა უწყის. ეხლახან ტრამვაით მოვდიოდი და იქ სამი ქალი ჩემზე ლაპარაკობდა—მე კარგად გავიგონე ჩემი სახელი.



ტფილისის ქუჩაზე.—გოგიაშვილისა.

ეხლა ყველას მივმართავ კითხვით: რა უნდა ვქნა? ხომ ვერ მივალ და ვერ ვეტყვი ყველას—წაიკითხეთ ჰამბერგი, წაიკითხეთ ლიმბეკის შესანიშნავი თხზულებათქო. ხომ არ შემიძლია ყველას წინ დავიჩოქო და მუდარა დავუწყო: ნუ ხართ ეგრე სასტიკნი... საქმეში კარგად ჩაიხედეთ... ჩემი ცოლი ქმრის მოღალატე არ არის! ყველაფერი იმის ბრალია, რომ ჩემი ცოლი შეშინებულიყო, როცა თავის დასთან ერთად ტირგარტენში იყო, სადაც ის უცხო შავი ხალხი იყო თავმოყრილი. აი საქმე როგორ ყოფილა: იმ დღეს ჩემ მშობლებთან ვიყავი სოფელში—მამა ძალიან ავად იყო, ეს იქიდამაც სჩანს, რომ რამდენიმე კვირაზე გარდაიცვალა კიდეც. მაგრამ ეს აქ რა მოსატანია! ანნა მარტო იყო და როცა დავბრუნდი საწოლში დამხვდა—დიახ, აღელვებისაგან, ნახვის სურვილისაგან... აბა რავიცი! იწვა—და მე სულ სამი დღე არ ვყოფილვარ სახლში. ასე ვუყვარდი მე ჩემ ცოლს. მოსვლისთანავე მივჯექ მის საწოლზე და იმანაც დაწვრილებით მიამბო, თუ როგორ გაატარა ეს სამი დღე. მე არც კი მიკითხავს, ისე მომიყვა ყველაფერი; ეს ფაქტი აღსანიშნავია. ორშაბათს შუადღემდე სახლში ყოფილიყო. ნაშუადღევს ისა და ფრიცი—ასე ვეძახდით მის დას ფრედერიკას—ბაზარში წასულიყვნენ სავაჭროდ. ფრიცი დანიშნულია ერთ მშვენიერ ყმაწვილ კაცზე, რომელსაც ბრემენში ძალიან კარგი ადგილი აქვს ერთ სავაჭრო სახლში; ფრიციც ბრემენში უნდა წავიდეს, როცა ცოლად გაჰყვება. მაგრამ არც ეს იყო აქ მოსატანი, ეს მე კარგად ვიცი.

სამშაბათს ჩემი ცოლი მთელი დღე სახლში იყო, გარეთ წვიმდა. სოფლადაც წვიმა იყო, როგორც მახსოვს. დადგა ოთხშაბათიც. ამ დღეს, საღამოს, ჩემი ცოლი და ფრიცი ტირგარტენში წავიდნენ, სადაც ზანგები იყვნენ დაბანაკებულნი. აქ უნდა დავუმატო, რომ მე თვითონ ვნახე შემდეგ ეს შავი ხალხი: მე, რუდოლფ ბიტნერი და მისი ცოლი სასეირნოდ ვიყავით ტირგარტენში; ჩემი ცოლი არას გზით არ წამოვიდა, ისეთი შიში ჩარჩენოდა იმ ოთხშაბათს აქეთ: არასოდეს ასეთი შიში არ გამომიცდიაო, მითხრა, რადგან სულ მარტო დავრჩი ზანგებთანაო!... სულ მარტო, რადგან ფრიცი სადღაც მიმალულიყო... არ შემიძლია ეს ფაქტი მივაჩუმოთო: არ მინდა ცუდი რამ ვსთქვა ფრიცზე, რადგან ეს ჩემი უკანასკნელი წერილია, მაგრამ ერთი რამ მინდა ვურჩიო—ფრთხილად იყოს, საქმროს ნუ აწყენინებს, რადგან იგი, როგორც რიგიანი კაცი, ამით უბედური იქნება. სამწუხაროდ ფაქტი ფაქტად რჩება—იმ საღამოს ბატონი... მაგრამ რად დავწერო აქ სახელი... ერთის სიტყვით ამ საღამოს ფრიცი სადღაც მიიმალა ერთ ბატონთან ერთად, რომელსაც მე კარგად ვიცნობ და ვერაფერი რიგიანი სახელიც აქვს, თუმცა ცოლშერთულია; დარჩა მარტოდ-მარტო ჩემი საწყალი ცოლი. ნისლიანი საღამო იყო, როგორც ეს ხშირად არის ხოლმე ზაფხულის ბოლოს; ამიტომ არასოდეს უპალტოოთ არ გავდივარ ხოლმე საღამოს სახლიდან... ყოველთვის მაგონდება, რომ ველზე სქელი ნისლი ძევს. . სწორედ ამისთანა საღამო იყო იმ ოთხშაბათს; ფრიცი სადღაც მიიმალა და დარჩა მარტო ჩემი ცოლი. ვინ არ წარმოიდგენს, თუ როგორ უნდა შეშინებოდა საბრალო ქალს ცეცხლისმფრქვევ თვალებიან და შავ წვერულვაშიან ზორბა ზანგებ შორის?.... სრული ორი საათი ელოდა ჩემი ცოლი ფრიცის; ეგონა მოვიდოდა. ამასობაში ბაღის კარების დაკეტაც დაიწყეს და ანნაც სახლისაკენ წამოვიდა. ეს ყველაფერი მიამბო ჩემმა ცოლმა, როცა მასთან ვიჯექ საწოლზე, როგორც წინადაც აღვნიშნე; ხელები მომხვია, მ-ელი ტანი უთრთოდა საბრალოს; მეც მომერია შიში: არც მე და არც იმან არ ვიცოდით მაშინ ის, რაც შემდეგ გავიგეთ. რო მცოდნოდა, რო ჩემი ცოლი ფეხმძიმეთ იყო, ნებას როგორ მივცემდი რომ ფრიცს სადმე გაჰყოლოდა იმ ნისლიან საღამოს!.. მართალია, ფრიცი რომ არ გაპარულიყო, ჩემი ცოლი ისე არ შეშინდებოდა; მაგრამ დიდი უბედურებაც ის იყო, რომ მარტო დარჩა და თან ფრიცის გულისათვისაც შიშობდა.... ყველაფერი გათავდა და ამიტომ არ მინდა ვისმე რამე ვუსაყვედურო. და თუ ყველა ზემორეაღნიშნული დავსწერე, ეს იმიტომ, რომ მინდა საქმე ყველასთვის ნათელი იყოს. ეს რომ არ მექნა, შეიძლება ეთქვათ კიდეც: თავი მოიკლა, რადგან ცოლმა უღალატაო... არა, ერთხელ კიდევ გაგიმეორებთ, რომ ჩემი ცოლი ჩემი ერთგულია, და რომ ბავშვი, რომელიც მან დაბადა, ჩემი შვილია! ორივე მიყვარს უკანასკნელ გულისცემამდე. თავს თუ ვიკლავ, ამისი ბრალი თქვენ გედებათ, თქვენ, რომელნიც იმდენად უგონო ან ავგულა ხართ, რომ არც რწმენა არც გაგება არ შეგიძლიანთ. მე კარგად ვიცი, რომ რაც მეტს გელაპარაკებით და ვეცდ[illegible] შემთხვევა მეცნიერულად აგიხსნათ, უფრო მეტს დამცინებთ, თუ პირში არა, ზურგს უკან მაინც; ან და იტყვით, რომ მე გიჟი ვარ. ეხლა ეს ველარ მოგართვით, ჩემო პატივცემულო ბატონებო! ვკვდები ჩემის რწმენისათვის, ჭეშმარიტებისათვის და ყველაზედ უფრო ჩემის ცოლის პატიოსნებისათვის; როცა მკვდარი ვიქნები, ველარ დასცინებთ ვერც ჩემ ცოლსა და ვერც მე; თქვენ დაინახავთ, რომ არის ისეთი შემთხვევები, რომელნიც აღუნიშნავენ ჰამბერგს, ჰელიოდორს, მალბრანშს, ველზენბურგს, პროისს, ლიმბეკსა და სხვებს. და შენ, ჩემო საყვარელო დედა, შენ არ უნდა ჩამოგერთმია ჩემთვის ისე ხელი, თითქო შესაბრალისი რამ მომსვლოდეს! ეხლა ხომ მოიხდი ბოდიშს ჩემი ცოლის წინაშე? მე ვიცი, რომ მოიხდი.

მეტი სათქმელი არ უნდა მქონდეს. თერთმეტი საათია. ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასებო! ერთს კიდევ შევალ საწოლ ოთახში, დავკოცნი უკანასკნელად ცოლსა და შვილს და წავალ—მშვიდობით იყავით!

### ტფილისის ტიპები



უსაქმო იმერელი ალექსანდრეს ბაღში

# ნარევი

**სამარცხვო ერთი ნაბიჯი.** ერთ საკვირველსა და დაუჯერებელს ამბავს მოგვითხრობს ბერლინის გაზეთი „ფოლკს ცაიტუნგ“-ი: მუსკაუშტრასსეზე ქალაქის სკოლაში მთელი მეექვსე კლასი და იმისი მასწავლებელი ამ სამიოდ კვირის წინად საშინელს განსაცდელში ჩავარდნილა. ეს კლასი მეორე სართულშია მოქცეული და 8—9 წლის 56 ქალი სწავლობს იქ. კლასებს გაზით ანათებენ და იმ უბედურ ორშაბათ დილის 9 საათს მასწავლებელი ფერსტერი დარწმუნებული იყო, რომ გაზის მილები არაა გაფუჭებული. ათის ნახევარზე ერთი ქალი ასულა ზევით, იმ კლასში მყოფ მასწავლებლისათვის რაღაც უნდა ეკითხა და მეტად გაოცდა, როცა ფანჯრიდან მთელი კლასი და მასწავლებელიც გაშეშებული დაინახა. მთელი ოთახი გაზით ავსებულიყო, მასწავლებელი უგრძნობლად კათედრაზე იწვა და მოსწავლენი კი ზოგი თავ-თავის ადგილას უძრავად იჯდა, ზოგიც ძირს დავარდნილიყო. გაზის მილთან ახლოს მყოფნი სრულებით უგრძნობლად იყვნენ. მასწავლებელმა ქალმა სასწრაფოდ ფანჯარა გააღო და შექმნა ყვირილი. მოცვივდნენ სკოლის უფროსი, სხვა მასწ'ვლებლები, მოსამსახურენი, პატარა ქალები და მასწავლებელი გარედ გამოიტანეს და სასწრაფოდ გონს მოიყვანეს. მალე ექიმებიც მოვიდნენ, მაგრამ იმათი დახმარება საჭირო აღარ იყო: მასწავლებელიცა და მოსწავლენიც იმდენად კარგად გახდნენ, რომ სადილს შემდეგ კიდევ განაგრძეს სწ ვლა.

*
* *

**ელექტრონი და მეურნეობა.** ყოველ ეჭვს გარეშეა, მომავალში ელექტრონს დიდი მნიშვნელობა ექნება მეურნეობაში, მაგრამ ეტყობა, ეხლაც ცოტა-ცოტა ეჩვევიან ელექტრონის ხმარებას მეურნეობაში და მწარმოებელიც ამითი დიდ შეღავათს იძენს. არა თუ ქალაქების ახლო, შორეულ სოფლებშიაც ჰმართავენ ელექტრონის ძალის მისაღებ სადგურებს. ერთი ფრანგული ჟურნალი მეურნეობისა მოგვითხრობს, რომ საფრანგეთის სოფელს აგნიკურაში, ეზინის დეპარტამენტს, ერთმა მემამულემ ელექტრონის სადგურიააშენა. პირველ ხანებში მეზობლებმა ყურადღებაც არ მიაქციეს ამას, უბრალო ჩხირკედელობად მიიჩნიეს, ასე რომ ამ სადგურიდან ელექტრონის ძალა მემამულემ მხოლოდ თავისს სახლკარის განათებას ახმარა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მეზობლებმა იწყეს მემამულესთან სიარული და

ხვეწნა, ჩვენ გადმოგვცეცით ელექტრონით. არ გასულა სამი თვე, სადგურს აღარ ეყო ის ტურბინი (წყლით მომუშავე მანქანა), რომელიც ელექტრონის ძალის დამმუშავებელ დინამოს ამოქმედებდა, ასე რომ ახალი მოწყობილობა დასჭირდა. სამი წელიწადია ეს სადგური მუშაობს და დღეს თურმე რვა სოფლის საზოგადოება, ოთხი ათასი სული, ჰსარგებლობს ამ ძალით. სადგური დღე და ღამ მუშაობს, მხოლოდ დღისით 11-დან 2 საათამდე ისვენებს. ელექტრონს, სამეურნეო საჭიროებასაც ახმარებენ: ელექტრონით ჰლეწავენ, ანიავებენ და ჩალასაც ამით სჭრიან. იაფადაც უჯდებათ თურმე ელექტრონის ძალა: საშუალო რიცხვით სოფელი იხდის განათებისათვის წელიწადში ათი სანთლის სინათლისას 8 მან. და სამ შაურს. რა თქმა უნდა, ამ გზით ერთი ხუთად და ათად უფრო ჩქარა და იაფად დაიმუშავებს სოფელი თავისს საქმეს, ვიდრე ხელითა და ხარ-კამეჩით.

***

აღარ არის ძვირფასი თვლები. უხსოვარის დროიდან ასეა რომ ძვირ-ფას თვალს რომ ეძახიან, მართლა დიდ ფასში იყიდებოდა და იყიდება კიდეც; ზოგიერთი თვალი ისეთიცაა, რომ ფასიც არა აქვს თურმე, რადგან მილიონებითაც ვერ იყიდით, მაგალითად, ქვები „კოხინურ“ და „დიდი მოგოლი“. მაგრამ ბუნებით ძვირფასს თვლებს ამ ჟამად დიდი განსაცდელი მოელის. ვიცით, „ყალბ ბრილიანტს“ ხომ დიდი ხანია აკეთებენ შვეიცარიაში. ახლა საფრანგეთის რამდენსამე მეცნიერს განუზრახავს გააკეთონ ძვირფასი ქვები, მაგრამ ყალბი კი არა უთუოდ ნამდვილი. ფერად ქვების გაკეთების საშუალებისათვის კიდეც მიუგნიათ, რადგან თვით ამ ქვების შედგენილება კარგად გამოუკვლევიათ. ალმასი და ბრილიანტი ხომ წმინდა ნახშირმბადეა. მეცნიერს მუსასანს ხელოვნურად მიუღია ნამდვილი ბრილიანტი ერთგვარს ქურაში, სადაც ნახშირი ჩაუყრია და ელექტრონის დიდი ძალა გაუტარებია შიგ. ბ-ნ მუსასანს გარდა ამ საქმეს იკვლევენ კიდევ შემდეგი მეცნიერები: ებელმენი, გოდენი, ფრემი და ვერნეილი. ამ უკანასკნელს გამოუკვლევია ლალის შედგენილება და გაუკეთებია ისეთი ლალი, რომ ნამდვილისაგან არ გამოირჩევა. მერე რა ყოფილა თურმე ლალი?—უბრალო თიხა, რომელშიაც შერეულია ბუნებრივი საღებავი, ქიმიაში ეგრედ წოდებული ხრომი. ბ-ნ ვერნეილს ხელოვნურად გაკეთებული ლალი სამეცნიერო აკადემიაში წარუდგენია და იქ ვერას გზით ვერ გამოარჩიეს თურმე ნამდვილისაგან.

ახლა ის-ღა დარჩენილა. რომ ფირუზი, იაგუნდი და სხვა ქვების კეთებაც გამოიგონონ. განა ვერ მიაღწევენ ამასაც თუ?




ყველაფრის მცოდნე, ყველაფრის მოსაქმე.



„ტელეფონისტკის“ მდგომარეობა.



ტფილისის ახალ ხმოსანთა გულმოდგინეობა. პირველ კრებაზე მიეჩქარებიან

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.